ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 583

"22" ნოემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს" (საფირმო სახელწოდების ცვლილების საფუძველზე - შპს „სითი ბოქსი", ს/ნ. 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/ნ. 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ'' ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს" (საფირმო სახელწოდების ცვლილების საფუძველზე - შპს „სითი ბოქსი", ს/ნ. 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/ნ. 439402843) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 6 ნოემბრის №24.1834.2069 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი" ს/კ. 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 2 094,14 ლარის ოდენობით) და ასევე, ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის, ხელშეკრულების 3.7

პუნქტის შესაბამისად, დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან (ყოველ დარღვევაზე 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე) შპს „სითი ბოქსის“ (ს/ნ. 439402843) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე